შინაარსი

#	სარჩევი	გვ.
1	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა საანგარიშო წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
2	დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	5
3	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)	7
4	მოგება-ზარალის ანგარიშგება	8
5	ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9
6	კაპიტალში განხორციელებული ცვლილებების ანგარიშგება	10
7	წლიური ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებები	11

მოამზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერაუდიტი" -ს მიერ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა საანგარიშო წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბრით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც ასახავს ამ თარიღისათვის ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, ამ პერიოდში წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი ნაკადების მოძრაობას და წმინდა აქტივების ცვლილებას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს პასუხისმგებლობა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების სხვა მოთხოვნებთან ერთად, მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარმოდგენისთვის საჭირო შიდა კონტროლის სისტემის შექმნას და გამოყენებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეცდომის ან თაღლითობის გამო ფინანსურ ანგარიშგებაზე დაშვებული არსებითი შეცდომის გამოვლენა ან პრევენცია;
- შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას და გამოყენებას;
- გონივრულ მსჯელობასა და სააღრიცხვო შეფასებების გონივრულ გამოყენებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ის დაცვით;

- აწარმოოს შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები, რომელიც შეესაბამება ადგილობრივ კანონმდებლობას და სტანდარტებსიმიურისდიქციაში, რომელშიცფედერაცია მოქმედებს;
- ბაფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების გახორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების პრევენციისათვის საჭირო ზომების გატარებაზე.
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენაზე.
- სხვადასხვა დარღვევების აღმოფხვრაზე..

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2014 წლის 23 მარტს და ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

ლავრენტი ჭუმბურიძე ქეთევან აბესალაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი ბუღალტერი

corp

მპს

აუდიტურ-საკონსულტაციო კორპორაცია

“ინტერაუდიტი”

№ 1/23 „23” 05 ”2015 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა აიპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენ, აუდიტორული კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერაუდიტი“-ს აუდიტორმა ნოდარ გაბედავამ (საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭოს მიერ გაცემული საკვალიფიკაციო სერთიფიკატი N-ზ N5/404 2010 წლის 4 ოქტომბრიდან ზოგად აუდიტში აიპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასა“ („ბაფი“) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერაუდიტს“ შორის 2015 წლის 6 მაისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩავატარეთ აიპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რაც მოიცავს საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის „ბაფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსი); საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგების აუდიტს (მოგება-ზარალის ანგარიშგება); საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების; ფულადი ნაკადების ანგარიშგების და განმარტებით შენიშვნების აუდიტს, იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბრით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: ფინანსური ანგარიშგებისმომზადებისა და წარდგენისათვის საჭირო შიდა კონტროლის სისტემის შექმნას და გამოყენებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეცდომის ან თაღლითობის გამო ფინანურ ანგარისგებაში დაშვებული არსებითი შეცდომის გამოვლენა ან პრევენცია; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას და გამოყენებას, სააღრიცხვო შეფასებების გონივრულ გამოყენებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორს გვევალებოდა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტის საფუძველზე გამოგვეხატა მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გაგვეცა დასკვნა. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობისა და მოქმედი ნორმატიული აქტების გათვალისწინებით. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების და დასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს აუდიტორული მოსაზრების გამოსახატავად და დასკვნის შესადგენად.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავს ბაფის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი საქმიანობის შედეგებს, ფულადი ნაკადების მოძრაობას და 2014 წლის განმავლობაში საკუთარ კაპიტალში ცვლილებებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერაუდიტი“

ოთარ ხარჩილავა

დირექტორი

INAUDIT

202905516

ნოდარ გაბედავა

აუდიტორი

თბილისი

2015 წლის 23 მაისი

არაკომერციული იურიდიული პირი „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ (ბაფი) ბალანსი

Table 1

	შენიშვნა	31.12.2014	31.12.2013
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები, ნეტო	1)	101,154	119,158
არამატერიალური აქტივი	2)	8,628	3,835
ინვესტიციები სხვა საწარმოებში		306,400	306,400
სულ გრძელვადიანი აქტივები		**416,182**	**429,393**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	3)	113,373	109,318
მოთხოვნები და წინასწარი გადახდები	4)	246,816	290,190
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	5)	594,910	608,171
სულ მიმდინარე აქტივები:		**955,099**	**1,007,679**
სულ აქტივები:		**1,371,281**	**1,437,072**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
ბაფის განვითარების ფონდი		1,296,676	1,243,572
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი		(42,181)	53,104
სულ კაპიტალი და რეზერვები		**1,254,495**	**1,296,676**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავად.მოგების გადასახადი		-	-
გადავადებული შემოსავლები	6)	3,987	11,305
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**3,987**	**11,305**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7)	107,815	122,999
საგადასახადო ვალდებულებები	8)	4,984	6,092
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**112,799**	**129,091**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**1,371,281**	**1,437,072**

არაკომერციული იურიდიული პირი „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ (ბაფი) 2014 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება

Table 2

		2014წ.	*2013წ.*
ამონაგები	9)	**512,077**	**589,619**
სხვა შემოსავალი	10)	**402,200**	**404,596**
ცვლილებები მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		**4,055**	**(26,656)**
შესრულებული და კაპიტალიზებული სამუშაო		**-**	**5,823**
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეძენა		(92,120)	(111,229)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(505,998)	(531,378)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(24,462)	(25,778)
შეძენილი მომსახურების ხარჯები		(208,361)	(177,493)
საკურსო სხვაობის ხარჯები		(2,400)	(1,079)
საგადასახადო ხარჯი		(1,106)	(1,197)
სხვა საოპერაციო ხარჯი	11)	(126,066)	(57,846)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		**(42,181)**	**67,382**
ფინანსური დანახარჯები		-	
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		**(42,181)**	**67,382**
მოგების გადასახადი	12)	-	(14,278)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		**(42,181)**	**53,104**

არაკომერციული იურიდიული პირი „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ (ბაფი) ფულადი ნაკადების მოძრაობის 2014 წლის ანგარიშგება

Table 3

		2014 წელი	*2013 წელი*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	12)	579,281	686,553
საწევრო შენატანები		146,767	114,904
მიღებული დივიდენდი		102,011	114,836
სხვა საოპერაციო შემოსავლები		45,987	18,015
სატრანზიტო გადარიცხვები		-	(645)
კურსთა შორის სხვაობა		34,607	20,780
მომწოდებლებზე გადახდილი ფული		(135,128)	(146,863)
გადახდილი ხელფასები		(426,089)	(426,419)
გადახდილი საწევრო	13)	(8,711)	(8,285)
ადმინისტრაციულ და სხვა არასაოპ.ხარჯებზე გადახდები	14)	(165,621)	(168,553)
გადახდილი გადასახადები	15)	(165,779)	(172,633)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		*7,325*	*31,690*
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(20,586)	(20,512)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		*(20,586)*	*(20,512)*
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა		**(13,261)**	**11,178**
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		**608,171**	**596,993**
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		**594,910**	**608,171**

არაკომერციული იურიდიული პირი „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ (ბაფი) კაპიტალში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების ანგარიშგება

Table 4

	საწესდებო კაპიტალი	ბაფ-ის განვითარების ფონდი
31.12.2012 ნაშთი	-	1,243,572
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		53,104
31.12.2013 ნაშთი	-	1,296,676
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(42,181)
31.12.2014 ნაშთი	-	1,254,495

მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერაუდიტ

წლიური ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებები

1. ზოგადი განმარტება

ბაფი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით წარმოადგენს არასამეწარმეო, არაკომერციული ურიდიულ პირს (კავშირს). იგი საქმიანობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე სათაო ოფისისა (ქ. თბილისი) და ცხრა რეგიონალური და რაიონული ფილიალის მეშვეობით. ბაფი, როგორც პროფესიული ორგანიზაცია, ახორციელებს საქართველოს კერძო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შემუშავებას, საკანონმდებლო სფეროს ლობირებას, ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების თარგმნასა და გამოცემას. ეკონომიკური საქმიანობა მისი დამხმარე ფუნქციაა, რომელიც, ძირითადად, უკავშირდება სპეციალისტების გადამზადებასა და პროფესიულ სერტიფიცირებას.
ბაფისა და მისი ფილიალების მოცემული ნაერთი ბალანსი შედგენილია მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტების საფუძველზე, წინასწარ მომზადებული საღრიცხვო პოლიტიკისა და ანგარიშთა გეგმის გამოყენებით.

2. ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები

კონსოლიდაციის პრინციპები

ნაერთი ბალანსი მოიცავს მისი ფილიალების ანგარიშგებებს. კერძოდ, მასში ჩართულია:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი;
- იმერეთის რეგიონალური ფილიალი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფილიალი;
- გურიის რეგიონალური ფილიალი;
- კახეთის რეგიონალური ფილიალი;
- ხაშურის რაიონული ფილიალი;
- რუსთავის რაიონული ფილიალი;
- ფოთის რაიონული ფილიალი
- გორის რაიონული ფილიალი

ნაერთ ანგარიშგებაში შიდა ოპერაციებით წარმოშობილი მოთხოვნები დავალდებულებები ელიმინირებულია.

ძირითადისაშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 2-დან 10 წლამდე.

სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

Table 5

##	ჯგუფების დასახელება	ცვეთის ნორმა %
1	ოფისის აღჭურვილობა	20-30
2	ავეჯი და სხვა ინვენტარი	25-50
3	სარტანსპორტო საშუალებები	10-15

სხვა საწარმოში მონაწილეობა ბალანსში წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ბალანსში ასახულია შეძენის, დამზადების თვითღირებულებასა და ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებულ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს შორის უმცირესი გასაყიდი ფასით. მარაგების შეფასებისას გამოყენებული იყო “ფიფო” მეთოდი.

მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

მოთხოვნები და წინასწარი გადახდები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები ასახულია იმ თანხით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ბალანსის შედგენიდან 12 თვეში. გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოადგენს გადავადებულ შემოსავლებს (რომელიც გრანტისა და შემოწირულობის სახით მიღებული აქტივების საბალანსო ღირებულების ტოლფასია) .

შემოსავლები

რეალიზაციიდან შემოსავლები აღიარებულია ბაფის მხრიდან რისკების გადაცემის მომენტში. შემოსავლები შემცირებულია ფასდათმობებისა და დაბრუნებული რეალიზაციის თანხებით. შემოსავლები, როგორიცაა ფულადი გრანტი, შემოსავალში ასახულია მათი გამოყენების მომენტში. არაფულადი აქტივის სახით მიღებული შემოსავლები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მათი გაყიდვისა და ცვეთის დარიცხვის შესაბამისად. საწევროები დარიცხულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღის მდგომარეობით.

ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

3. ბალანსის ახსნა-განმარტებები

გრძელვადიანი აქტივები

შენ. #1

1. ძირითადი საშუალებები

Table 6

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.14	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.13
	შეძენის ღირებულება				
1	ბიბლიოთეკა	4,366	210	7,795	11,951
2	ოფისის აღჭურვილობა	99,665	8,190	7,438	98,913

3	ავეჯი და ინვენტარი	88,214	5,323	989	83,880
4	სატრანსპორტო საშუალება	48,739	-	-	48,739
	ჯამი	240984	13,723	16,222	243,483
	ცვეთა	ნაშთი 31.12.14	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.13
1	ბიბლიოთეკა	-			-
2	ოფისის აღჭურვილობა	71,312	10,110	7,298	68,500
3	ავეჯი და ინვენტარი	52,918	8,878	986	45,026
4	სატრანსპორტო საშუალება	15,600	4,800	-	10,800
	ჯამი	139830	23,788	8,284	124,326
	საბალანსო ღირებულება	101,154			119,157

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივიები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით. აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე არ მომხდარა.

შენ. #2

2. არამატერიალური აქტივები

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.14	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.13
	შეძენის ღირებულება				
1	საბუღ. პროგრამა `ორისი~	3,560			3,560
2	საბუღ. პროგრამა `სუპერფინი`	618			618
3	პროგრამა IBშ	2,225			2,225
4	ლიცენზია შტრადოს შტუდიო	5,467	5,467		-
	ჯამი	11,870	5,467	-	6,403
	ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.14	დარიცხვა	ჩამოწერა	ნაშთი 31.12.13
1	საბუღალტრო პროგრამა „ორისის“ ამორტიზაცია	2,025	305		1,720
2	საბუღალტრო პროგრამა „სუპერფინის“ ამორტიზაცია	469	152	-	317
3	პროგრამა \"IBშ-ის\" ამორტიზაცია	748	217		531
	ჯამი	3,242	674	-	2,568
	საბალანსო ღირებულება	8,628			3,835

ელექტრონული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერაუდიტი -ს“ მიერ

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

Table 7

3)	ინვესტიციები სხვა საწარმოებში	
1	შპს \"პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი\"	286
2	შპს \"ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა\"	20
	ჯამი	306

მიმდინარე აქტივები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება შემდეგი ძირითადი ჯგუფებისაგან

შენ. #3

Table 8

დასახელება	თანხა	
	2014წ	2013 წ
საქონელი, აუდიტის სტანდარტები	2,011	670
ორისის პროგრამა	346	4,002
მზა პროდუქცია, წიგნები	89,227	82,179
სხვა ს.მ., დაუმთ.წარმოება	21,789	22,467
სულ სასაქონლო მატ.მარაგები:	113,373	109,318

საქონლის ნაშთის შემადგენლობაში გაერთიანებულია შემოწირულობის სახით მიღებული წიგნები და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ორისი“. მზა პროდუქციის ნაშთში - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ხარისხის კონტროლისა და აუდიტის სტანდარტები და ACCA სახელმძღვანელოები. დაუმთავრებელ წარმოებაში - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების 2014 წლის გამოცემა.

შენ. #4

Table 9

დასახელება	2014 წ	2013წ
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახ.	43,741	55,976
მოთხოვნები წევრებთან	246,894	296,808
საეჭვო მოთხოვნების (საწევრო) კორექტირება	(52,902)	(76,536)
მოთხოვნები პერსონალთან	3	513
გაცემული სესხი	-	-
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	5,290	2,969
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	5,822
წინასწარ გადახდილი გადასახადები	3,790	4,638
სულ მოთხოვნები და წინასწარი გადახდები:	246,816	290,190

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ბაფის ფულადი სახსრები განთავსებულია საქართველოს ბანკებში ეროვნული და უცხოური ვალუტის სახით, ქ. თბილისის და ფილიალების ოფისის ადგილმდებარეობის ბანკებში. მათი სტრუქტურა შემდეგია:

შენ. #5

Table 10

დასახელება	2014წ	2013 წ
ნაღდი ფული სალაროში	216	54
ეროვნული ვალუტა ბანკში	79,217	157,140
უცხოური ვალუტა ბანკში	515,477	450,977
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვ.	594,910	608,171

უცხოურ ვალუტაში კონვერტირების პრაქტიკას ბაფი იყენებს ეროვნული ვალუტის გაუფასურებიდან მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილების მიზნით.

გადავადებულიშემოსავლები

გადავადებული შემოსავლების მუხლი აერთიანებს შემდეგ სამომავლო შემოსავლებს:

შენ. #6

გადავადებულიშემოსავლები

Table 11

დასახელება	2014წ	2013 წ
გრანტით შეძენილი ძირ.საშუალებები	19	19
შემოწირული წიგნები	762	8,080
შემოწირული ძ.საშ.	229	229
ABBA წიგნები (გრანტით გამოც)	-	-
გრანტით გამოც სხვა წიგნები	2,977	2,977
	3,987	11,305

ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოება „ნაციონალური ფინანსები“-ს მიერ

გრანტით შეძენილი და შემოწირული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება მომავალში შემოსავალში აიღება ცვეთის დარიცხული თანხის შესაბამისად, ხოლო შემოწირული და გრანტის სახსრებით გადმოცემული წიგნები–რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების შესაბამისად. საფუძველი: ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 20 სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები. აქ, სახელმწიფო, გულისხმობს მთავრობას, სახელმწიფო უწყებებს და ანალოგიურ ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციებს. შემოსავალ-მეთოდის დროს გრანტი აისახება შემოსავლის სახით, ერთი ან მეტი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. შემოსავალ-მეთოდის გამოყენების ძირითადი დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ სახელმწიფო გრანტების შემოსავლების სახით აღიარება ხდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ხდება სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებული დანახარჯების გაწევა. სახელმწიფო გრანტების შემოსავლების აღიარება მათი მიღებისთანავე (საკასო მეთოდით) ეწინააღმდეგება ბასს 1-ის, „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ შემოსავლების ასახვის დარიცხვის მეთოდს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგია:

შენ. #7

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

Table 12

დასახელება	2014 წ	2013 წ
მოწ.და მომსახ.წარმოშობილი ვალდებულებები	4,608	14,254
მიღებული ავანსები	90,209	96,042
გადასახდელი ხელფასები	3,188	2,660
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	-	-
სხვა ვალდებულებები	9,810	10,043
	107,815	122,999

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებების მუხლში ჩართულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ბალანსის შედგენის თარიღისათვის ამოწურული არ არის. მათი სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა:

შენ. #8

საგადასახადო ვალდებულებები

Table 13

დასახელება	2014 წ	2013წ
გადასახდელი მოგების გადასახადი	-	-
გადასახდელი ქონების გადასახადი	-	50
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	1,235	665
გადასახდელი დღგ	3,749	5,377
გადასახდელი სოციალური გადასახადი	4,984	6,092

4. სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები

ამონაგები

ფედერაციის ფინანსურ ანგარიშგებაში საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციიდან ნეტო ამონაგები შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

შენ. #9

Table 14

დასახელება	2014 წ	2013წ
რეალიზაცია	84,360	90,906
საწავლო პროცესი	294,433	346,343
სხვა საოპერაციო შემოსავალი	134,184	152,370
სულ ამონაგები:	512,977	589,619

რეალიზაცია მოიცავს, როგორც საქონლის ისე საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს. სასწავლო პროცესის შემოსავლებში გაერთიანებულია ბაფის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ყველა ტიპის ტრენინგებიდან და გამოცდებიდან მიღებული ამონაგები.

სხვა საწარმოო შემოსავლები

სხვა შემოსავლების შემადგენლობაში გაერთიანებულია შემოსავლები, რომელიც სხვადასხვა წყაროებიდანაა შემოსული. მათი შემადგენლობა შემდეგია:

შენ.# 10

სხვა საოპერაციო შემოსავლები

Table 15

დასახელება	2014წ	2013 წ
საწევრო კორპ.წევრების	107,269	108,213
საწევრო ნამდვილი და ასოცირებული წევრ,	103,299	97,397
გაწევრიანება	3,565	3,590
დივიდენდი	107,380	120,870

საპროცენტო შემოსავალი	31,768	49,941
შემოწ.და გრანტებით შეძენილი წიგნების რეალიზაციიდან	7,319	32
შემოწ.და გრანტებით შეძენილი ზ.ს.ცვეთა	-	872
არასასარჩელო შემოსავალი	4,530	1,790
შემოწირულობა	-	-
კურსთა შორის სხვაობა	37,070	21,891
სხვა შემოსავალი	-	-
სულ სხვა საწარმოო შემოსავლები:	402,200	404,596

საწევრო შენატანები გულისხმობს დარიცხულ საწევროს. მ.შ.კორპორაციული წევრების 107269 ლარი, ნამდვილი და ასოცირებული წევრების 103299 ლარი.

სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს გრანტით დაფინანსებულ ხარჯებსა და არასაოპერაციო ხარჯებს:

შენ.# 11

სხვა საოპერაციო ხარჯი
Table 16

დასახელება	2014წ	2013წ
გადახდილი საწევროები (აიფაკის)	8,710	8,285
ჩამოწერილი საწევროები	85,700	26,353
ჩამოწერილი .ძ.ს.	7,911	1,332
ქველმოქმედება და დახმარება	2,435	6,395
უიმედო ვალი	4,212	3,396
არასაოპერაციო ხარჯი	1,154	525
წარმომადგენლობითი ხარჯი	850	709
ჯარიმები	757	319
მიღებ.დივიდენდის საშემოსავლო 5%	5,369	6,044
წევრთა ყრილობის ხარჯები	8,968	4,488
სულ სხვა საწარმოო ხარჯი:	126,066	57,846

შემოსავლებიდან გადასახადები

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადს ბაფი იხდის 15 პროცენტის ოდენობით. წლიური შედეგებიდან გამომდინარე მოგებამ დაბეგვრამდე შეადგინა (42181) ლარი, საგადასახადო კორექტირებამ (95383) ლარი, ხოლო საგადასახადო ზარალმა (137564) ლარი.

საგადასახადო კორექტირება გაუკეთდა შემოსავლებს, რომლებიც მოგების გადასახადით დაბეგვრას არ ექვემდებარება: საწევრო 214133 ლარი; დივიდენდი 1073800 ლარი; ბანკის პროცენტი 31768 ლარი (სულ 353281 ლარი).

კორექტირება შეეხო აგრეთვე ხარჯებს, რომლებიც გამოქვითვას არ ექვემდებარებოდა საგადასახადო მიზნებისათვის: გაუცემელი ხელფასი 3985 ლარი; მიღებული დივიდენდის დაკავებული საშემოსაბლო 5369 ლარი; საწევროს საეჭვო ვალის რეზერვი 85700 ლარი; ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში გადახდილი საწევრო 8710 ლარი; ბაფ-ის წევრებთან დაკავშირებული დაქირავებით მომუსავეთა ხელფასი 74125 ლარი; წევრებთან და ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული ხარჯები 11358 ლარი; წევრთა ყრილობის ხარჯი 8968 ლარი, გამგეობის წევრების მივლინების ხარჯები 18259 ლარი, არაეკონომიურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი 9745 ლარი, დახმარება და ქველმოქმედება 2435 ლარი; ჩამოწერილი გრძელვადიანი აქტივები 7911 ლარი; მიკრომეწარმისაგან შეძენილი სასწავლო ლიტერატურა 780 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯი 850 ლარი, ჩაუთვლელი დღგ 7537 ლარი; არარეზიდენის საშემოსავლო 607 ლარი; უიმედო ვალი 4212 ლარი; აგრეთვე ძირითადი საშუალებების საღრიცხვო და საგადასახადო ცვეთის განსხვავებული ხარჯები 8337 ლარი; 1000 ლარზე ნაკლები ღირებულების შეძენილი გრძელვადიანი აქტივი -9111 ლარი; ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ხარისხის კონტროლის თარგმნილი მასალების ხარჯი 8115 ლარი; (სულ 257892 ლარი).

შენ.# 12

მოგების გადასახადი

Table 17

დასახელება	2014 წ	2013 წ
საგადასახადო მოგების გადასახადი	-	-
საგადასახადო აქტივი (ზარალის 15%)	-	(20,475.0)
საგადასახადო აქტივი (გაუცემელი ხელფასის15%)	-	-
გადავადებული მოგების გადასახადი(გრძ.აქტ.სხვ.)	-	6,197.0
სულ მოგების გადასახადის ხარჯი:	-	(14,278.0)

4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების დანართები

შენ.# 13

კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები

Table 18

დასახელება	2014წ	2013წ
ლიტერატურის რეალიზაცია	54,606	64,704
სწავლებაზე და სერთიფიც.მიღ.თანხები	130,046	168,312
ACCA გამოცდა	211,040	246,005
დებიტორული დავალიანების დაფარვა	18,440	23,660
ორისის ინსტალაცია	50,093	71,994
მიღებული ავანსები	115,056	111,878
სულ კლიენტებიდან მიღებული თანხები:	579,281	686,553

შენ.# 14

გადახდილი საწევრო

Table 19

დასახელება	თანხა	
აიფაკში გადახდილი საწევრო	8,711	8,285

ეს არის საერთაშორისი ორგანიზაციებში /ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია/ გადახდილი საწევრო გადასახადი

შენ.# 15

ადმინისტრაციულ და სხვა არასაოპერაციო ხარჯებზე გადახდილი თანხები:

Table 20

#	დასახელება	2014წ	2013წ
1	საიჯარო ქირა	102,048	101,250
2	კომუნალური	12,064	10,112
3	\"კოდექსი\"	600	1,229
4	როიალტი	2,629	3,930

5	მივლინება	18,049	28,357
6	რეკლამა	4,355	250
7	ქსეროასლის გადაღება	993	1,564
8	კომპიუტერის ხარჯები	535	1,036
9	საგადასახადო და სხვა ლიტერატურა	195	390
10	ბანკის მომსახურება	1,153	1,510
11	ქველმოქმედება	2,435	5,395
12	ყრილობის და კონფერენციის	9,698	4,488
13	მანქ.მომსახ.ხარჯი	3,197	3,194
14	აუდიტორული მომსაურება	6,000	1,000
15	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1,670	4,848
	სულ:	165,621	168,553

შენ.# 16

სხვადასხვა გადასახადების გადახდა

Table 21

#	დასახელება	2014 წ	2013წ
1	მოგების გადასახადი	-	-
2	ქონების გადასახადი	1,117	1,348
3	გადასახდელი დღგ	55,397	62,054
4	საშემოსავლო გადასახადი	109,265	109,231
	სულ გადასახადები:	165,779	172,633

მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტეგრალი“ საბუღ